



არქე

სიასღუები

რიჩ მეტალს გრუპი

N 18 | ოქტომბერი-ნოემბერი | 2015



უკვე ერთი თვეა,
კომპანია „არქეის“
ინიციატივითა და სრული
ფინანსური მხარდაჭერით,
დმანისი-ბოლნისის
აღმინისტრაციულ
საზღვართან მდებარე
X-XI სს. დათარიღებული
აბულმუგის ტაძრის
რესტავრაცია
მიმდინარეობს.

კომპანია „არქეი“ აბულმუგის ეკლესიის სრულ რეაბილიტაციას ახორციელებს

რა მნიშვნელობის კულტურულ ძეგლთან გვაქვს საქმე, რა მდგომარეობაში იყო ეკლესია სამუშაოების დაწყების წინ და რა ტიპის სამუშაოებია ჩასატარებელი ტაძრის სრულად აღსადგენად, ამ საკითხებზე რეაბილიტაციის პროექტის ხელმძღვანელი, კახაბერ მრავალიძე გვესაუბრა.

- მოგეხსენებათ, აბულმუგის ტაძარი დათარიღებულია X-XI საუკუნეებით. ეს არის ტიპური დარბაზული ეკლესია, რომელსაც იმ პერიოდის საქართველოში ნაგები ტაძრების ყველა ძირითადი მახასიათებელი გააჩნია.

გამომდინარე იმ საუკუნიდან, რომელშიც ტაძარი არის აგებული და გამომდინარე მისი მხატვრული ღირებულებიდან, ის საკმაოდ მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლია, როგორც რეგიონისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის.

- ბატონო კახა, რა მდგომარეობაში იყო ტაძარი, როდესაც პირველად ნახეთ და რამდენად გადაუდებელი იყო მისი რეაბილიტაცია?

- როდესაც ადგილზე ჩავვედი, ეკლესია მძიმე მდგომარეობაში დამხვდა. მოგეხსენებათ, გარე ზემოქმედების ფაქტორები,

როგორც არის: წვიმა, თოვდი, ყინვა- ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელს უწყობს ნაგებობის სტრუქტურის დაშლას. ასე იყო აღნიშნული ტაძრის შემთხვევაშიც, შეინიშნებოდა ბზარები, მთლიანად ჩამოშლილი იყო თაღი, დაზიანებული იყო საძირკველი...

აქედან გამომდინარე, ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება აუცილებელი და გადაუდებელი გახლდათ.

- უფრო კონკრეტულად, რა ტიპის სამუშაოებს მოიცავს რეაბილიტაციის პროექტი და როგორი იქნება ტაძრის საბოლოო სახე ?

-აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც კომპანია „არემტი“ აფინანსებს, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მიერ დაპროექტდა. პროექტი მოიცავს როგორც საინჟინრო-გამაგრებით სამუშაოებს, ასევე ტაძრის მხატვრული სახის აღდგენას. ამ ეტაპზე სააგენტოს სპეციალისტების მიერ მოხდა ტაძრის სრული შესწავლა, პროექტირება, გეოლოგიური შესწავლა და არქეოლოგიური დაზვერვა. ის პირველი ეტაპი, რომელიც აუცილებელი იყო პროექტის შესაქმნელად, უკვე დასრულებულია.

უკვე ერთი თვეა აღნიშნული პროექტის საფუძველზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ ეტაპს. ეს ეტაპებია: საინჟინრო-კონსოლიდაცია, ტაძრის ე.წ ტანის აღდგენა-რეაბილიტაცია და სახურავის ქვეშ ტაძრის მოქცევა. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება.

რაც ყველაზე მთავარია, პროექტის დასრულების შემდეგ ტაძარში შესაძლებელი გახდება წირვა-დოცვის ჩატარება, ანუ ტაძარი გახდება მოქმედი.

მინდა აღვნიშნო, რომ აბულმუგის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის შექმნა და მისი განხორციელება არის კომპანია „არემტის“ ინიციატივა და მიმდინარეობს კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით.



რა როლი აქვს მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და რა სახის მონიტორინგს უწევს ის აღდიღა მიმდინარე ფიზიკურ სამუშაოებს. ამის შესახებ კომენტარი სააგენტოს ძეგლთა რეაბილიტაციის საპროექტო სამსახურის ხელმძღვანელს, გიგა სოსანიძეს ვთხოვეთ.

- აბულმუგის ეკლესიის პროექტირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტომ თებერვალში კომპანია „არემტისთან“ არსებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიწყო. თავდაპირველად შევქმენით საპროექტო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა რესტავრატორების, კონსტრუქტორებისა და ხელოვნებათმცოდნეებისგან. მათ მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტომ

საკუთარი ხარჯებით შეადგინა რეაბილიტაციის პროექტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი შეთანხმდა საქართველოს სამპრეზიდენტო საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოსთან, რომლის რეკომენდაციის საფუძველზეც სააგენტოს მიერ გაიყა ფიზიკური სამუშაოების ჩატარების ნებართვა.

მას შემდეგ, რაც დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, სააგენტო ახორციელებს საავტორო ზედამხედველობას, რაც გულისხმობს სპეციალისტების ადგილზე ჩასვლას, სამუშაო პროცესზე დაკვირვებას, კორექტირებას და ანგარიშის მომზადებას.

უნდა აღვნიშნო, რომ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს ყველა სტანდარტის დაცვით, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მიერ.

2015 წელს შეძენილი სპეცტანსაცმლის ჩამონათვალი

ჩვენი კომპანია ეტაპობრივად აგრიძებს თავის ნაკისრ ვადებულებას და უზრუნველყოფს კომპანიის მუშა-
მოსამსახურეთა სპეცტანსაცმლით ეკიპირებას. 2015 წლისათვის კომპანიამ უკვე შეიძინა სპეცტანსაცმელი
ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით და დაურიგა თავის თანამშრომლებს (პერსონალს).

დასახელება	შეძენილია 2015 წელს	
	Copper	Gold
შემდუღებლის ხელთათმანი		15
ქიმიურად მდებარე ხელთათმანი	150	
ვინილის ხელთათმანი	250	
ციანიდთან სამუშაო ხელთათმანი (გრძელი)		200
ციანიდთან სამუშაო ხელთათმანი (მოკლე)		
სმენის დამცავი აღჭურვილობა	500	300
ერთჯერადი რესპირატორი მტვრის საწინააღმდეგო	1000	1000
ჩაფხუტი	375	275
საწვიმარი	500	400
ამრეკლი ყილეტი	700	690
თბილი ქურთუკი	719	398
სპეც. ტანსაცმელი	550	550
ტყავის ჩექმა	200	200
ფეხსაცმელი ქალებისათვის		33
რეზინის ჩექმა	175	175
კირზის ჩექმა		
შემდუღებლის ტანსაცმელი	30	
ხალათი მწვანე	150	25
ხალათი თეთრი	20	
ხალათი ლურჯი	47	15
დამცავი სათვალე	200	200
დამცავი სათვალე ლაბორანტებისათვის		
დამცავი სათვალე (მჭიდრო)		10
დამცავი სათვალე	26	19
სმენის დამცავი საყურისი	10	10
შემდუღებლის ფარი		35
ქიმიური კომბინიზონი		10
სახის დამცავი ფარი		10
რესპირატორი მრავალჯერადი		
ფილტრები		
აირწინალი (ციანიდთან მუშაობისათვის)		35
აირწინალის ფილტრები		100
სიმაღლეზე მუშაობის ქამრები		

გარდა ამისა, შეკვეთილია შემდეგი
სპეცაღჭურვილობის შეძენა, რომელიც მოწოდებული
იქნება 2015 წლის 20 დეკემბრისათვის:

დასახელება	შეკვეთილია საზღვარგარეთ	შეკვეთილია ადგილზე
შემდუღებლის ხელთათმანი	400	
ქიმიურად მდებარე ხელთათმანი	5000	
ვინილის ხელთათმანი	7000	
ციანიდთან სამუშაო ხელთათმანი (გრძელი)		150
ციანიდთან სამუშაო ხელთათმანი (მოკლე)		200
სმენის დამცავი აღჭურვილობა	3000	
ერთჯერადი რესპირატორი მტვრის საწინააღმდეგო	15700	
ჩაფხუტი	500	
საწვიმარი	500	
ამრეკლი ყილეტი	0	
თბილი ქურთუკი	600	
სპეც. ტანსაცმელი	600	
ტყავის ჩექმა	400	
ფეხსაცმელი ქალებისათვის	200	
რეზინის ჩექმა		
კირზის ჩექმა		45
შემდუღებლის ტანსაცმელი	130	
ხალათი მწვანე		
ხალათი თეთრი		
ხალათი ლურჯი		
დამცავი სათვალე	200	
დამცავი სათვალე ლაბორანტებისათვის		120
დამცავი სათვალე (მჭიდრო)	175	
დამცავი სათვალე	120	
სმენის დამცავი საყურისი	70	
შემდუღებლის ფარი		45
ქიმიური კომბინიზონი		50
სახის დამცავი ფარი	50	
რესპირატორი მრავალჯერადი	120	
ფილტრები	440	
აირწინალი (ციანიდთან მუშაობისათვის)		
აირწინალის ფილტრები		
სიმაღლეზე მუშაობის ქამრები		50

კომპანია მომავალშიც გააგრძელებს
თანამშრომლების სპეცტანსაცმლით ეკიპირებას.

მადნეულის კარიერაზე ახალი სანიაღვრე-სადრენაუო სისტემის მოწყობაზე იწყება მუშაობა

მადნეულის კარიერაზე მისასვლელ გზაზე უახლოეს მომავალში ახალი სანიაღვრე-სადრენაუო სისტემა მოეწყობა. კომპანიის ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული სისტემა უხვი ნადევის დროს მდინარე კაზრეთუდას კარიერიდან ჩამოდენილი წყლისაგან დაცვას უზრუნველყოფს. სანიაღვრეების პროექტირებაზე კომპანია „არემჯიმ“ ამა წლის ოქტომბერში ტენდერი

გამოაცხადა, რის შედეგადაც შეირჩა შპს „ელ-კო“, რომელიც პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს. მას შემდეგ, რაც დასრუდება სანიაღვრე-სადრენაუო სისტემის პროექტზე მუშაობა, კომპანია მორიგი ტენდერის საფუძველზე შეარჩევს შემსრულებელს, რომელსაც დაევადება აღნიშნული პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფა. **მიხეილ კვარაცხელია, კომპანია „არემჯიმ“ ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და**

გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი:

„აღნიშნული პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისათვის. სანიაღვრე სისტემის მოწყობა საწარმოო ტერიტორიაზე ორ ეტაპს მოიცავს. პირველი-პროექტირება, რაც უკვე დასკვნით ფაზაშია შესული და მალე დასრუდება, და მეორე - სამშენებლო სამუშაოების დაწყება, რაც სანიაღვრე არხების აშენებას გულისხმობს.

რას მოიცავს კომპანია „არემჯიმ“ სადაზღვევო მომსახურება

განახლებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, სამსახურეობრივი რანგის მიუხედავად, ყველა თანამშრომელი დაზღვეულია იდენტური პირობებით. წარმოდგენილი სადაზღვევო ბარათის პირობები გაუმჯობესდა თანაგადახდის და არსებული ღირებულების მხრივ. ახალ სადაზღვევო ბარათში ჩაიღო ისეთი დაფარვები, როგორიცაა ორსულობა და მშობიარობა, სტომატოლოგიური მომსახურება. ამბულატორიული მომსახურების თანაგადახდა დაზღვეულისთვის 25%-ის ნაცვლად შეადგენს 15%-ს, ანუ დაზღვეული გაწეული ამბულატორიული მომსახურების 15%-ს იხდის

პროვაიდერ კლინიკაში (ექიმის მიმართებით), ხოლო არაპროვაიდერ კლინიკაში - 30%-ს (მიმართვის გარეშე), ნაცვლად 40%-ისა.

რაც შეეხება ამბულატორიული ღირებულებების (ქრონიკული დაავადებების ჩათვლით) გაიზარდა 2500 ლარამდე. ასევე გაუმჯობესდა მედიკამენტის ღირებულების ანაზღაურება: ნაცვლად 40%-ისა, დაზღვეული იხდის 30%-ს, ხოლო მედიკამენტების ღირებულება 950 ლარიდან გაიზარდა 2000 ლარამდე (ქრონიკული ჩათვლით). ასევე გაუმჯობესდა ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურების ხარჯის ანაზღაურება, რომელიც ახალი სადაზღვევო პირობებით შეადგენს

3500 ლარს 100% გადახდით.

თითოეულ თანამშრომელს საშუალება აქვს თავისი იდენტური ბარათის პირობებით დააზღვიოს საკუთარი ოჯახის წევრები (მეუღლე და შვილები).

ჩვენს დაზღვეულ თანამშრომლებს საწარმოს ტერიტორიაზე ემსახურება ექიმების ჯგუფი, რომლებიც ადგილზე აწარმოებენ პირველად გასინჯვებს, რაც დაზღვევით სარგებლობას უფრო მოქნილს და კომფორტულს ხდის. რაც შეეხება დაზღვეულ ოჯახის წევრებს, სპეციალურად დაბა კაზრეთში გამოიყო ექიმი, რომელიც მათ მომსახურებას და კონსულტაციას უწევს.

კაზრეთელი მოჭიდავეების მორიგი წარმატება

12-16 ოქტომბერი - ქ. ამბროლაური, საერთაშორისო ტურნირზე ბაჩუკი ავალიშვილი და გივი დემურაშვილი მეორე-მესამე ადგილს დაეუფლნენ.

22-26 ოქტომბერი - სომხეთი, ქ. ერევანი, საერთაშორისო შეჯიბრებაზე გივი დემურაშვილმა მესამე ადგილი მოიპოვა.

13-16 ნოემბერი - ქ. ქუთაისი, საერთაშორისო ტურნირზე სამი საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ: დავით ურუმაშვილი, სანან ქაზუმოვი და ბექა კავრედაშვილი. "არემჯიმ" უდოცავს კაზრეთელ კადეტებს გამარჯვებას და წარმატებას უსურვებს მათ მომავალ ასპარეზობებზე!

